ხელშეკრულება №35120211/01/05 -2

ქ. თბილისი 2 მარტი 2012წ.

დაიდო, ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) გენერალური დირექტორის ნატო ავალიანის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ–ცენტრის“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) დირექტორის რემა ღვამიჩავას სახით, „კიბოს სკრინინგის“ მომსახურების შესყიდვაზე.

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 "იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2011 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2012 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №492 დადგენილება.

1.2 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

1.3 „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის No9 ბრძანება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის No77 დადგენილება „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ პროგრამის ფარგლებში „კიბოს სკრინინგის“ (კომპონენტის) მომსახურების შესყიდვა (CPV 85100000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 91 858 (ოთხმოცდათერთმეტი ათას რვაასორმოცდათვრამეტი) ლარს (დანართი 1).

4. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

4.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია (შემდგომში „მომსახურება“): კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება ქვეყნის მასშტაბით (გარდა ქ. თბილისის მოსახლეობისა), რომელიც მოიცავს:

4.1.1 ძუძუს კიბოს სკრინინგს 40-70 წლის ასაკის ქალებში – არანაკლებ 1800 შემთხვევა (კოდი 11011), ერთეულის ღირებულება 21 ლარი;

4.1.2 საშვილოსნოს ყელის სკრინინგს 25-60 წლის ასაკის ქალებში - არანაკლებ 2550 შემთხვევა (კოდი 11012), ერთეულის ღირებულება 15 ლარი;

4.1.3 კოლორექტალური სკრინინგს 50-70 წლის ორივე სქესისათვის - არანაკლებ 1328 შემთხვევა (კოდი 11013), ერთეულის ღირებულება 5 ლარი.

4.1.4 პროსტატის კიბოს სკრინინგს 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში –არანაკლებ 104 შემთხვევა (კოდი 11014), ერთეულის ღირებულება 12 ლარი;

4.1.5 კოლონოსკოპიური სკრინინგს 50-70 წლის ორივე სქესისათვის - არანაკლებ 99 შემთხვევა (კოდი 11015), ერთეულის ღირებულება 80 ლარი;

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „მიმწოდებლის“ მიერ სატენდერო წინადადებაში ასახულ ინფორმაციას.

5.2 „მომსახურების“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

6.1 „მომსახურების“ გაწევის ვადაა - 2012 წლის 1 აპრილამდე.

6.2 „მომსახურების“ მიწოდების ადგილი - თბილისი, მ. ასათიანის ქ. 9, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

6.3 მიწოდების ფორმა - „მომსახურების“ ღონისძიებათა შესრულება „შემსყიდველის“ მიერ თანდართული ფორმებით.

6.4 „მომსახურების“ შედეგების მიწოდების ვადა - ყოველთვიურად, მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „მიმწოდებელი“ ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს მის მიერ საანგარიშო თვეში გაწეული „მომსახურების“ შესახებ, თანდართული ფორმით (ანგარიშ-ფაქტურა; ფორმა 1, ფორმა 2, ფორმა 3, ფორმა 4 და ფორმა 5 თან ერთვის).

7.2 „მიმწოდებელი“ „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგენს სრულ წერილობით ინფორმაციას „მომსახურების“ მიმდინარეობის შესახებ.

7.3 ანგარიშგების ფორმებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეიქმნება ობიექტური საჭიროება ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით, ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით.

7.4 „მიმწოდებელი“ სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. „მიმწოდებელი“ ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში გაცნობისათვის პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს“.

7.5 არასწორად, არასრულად ან არაკორექტულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს“ მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.

7.6 „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილ პირებს შორის ყოველთვიურად განხორციელდება პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა 5) გაფორმებით.

7.7 „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული „მომსახურების“ შესახებ ანგარიშის დაგვიანებით წარმოდგენის ან არწარმოდგენის შემთხვევაში „შემსყიდველი“ მისი სახაზონო სამსახურში წარდგენის საკითხს გადაწყვეტს განხილვის შემდგომ.

7.8 „შემსყიდველი“ ითვალისწინებს, რომ „მიმწოდებლისათვის“ სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.3 ანაზღაურება განხორციელდება პუნქტი 4 -ით გათვალისწინებული ღონისძიებების ფაქტიურად გაწეული მომსახურების კოდებისა და ერთეულის ფასების მიხედვით თვეში 2011 წლის დეკემბრის თვის ლიმიტის ოდენობით.

8.4 ანაზღაურება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და ყოველთვიური პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა 5) ხელმოწერის შემდეგ ათი სამუშაო დღის განმავლობაში, კანონით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

9.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

9.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

9.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.

9.2.2 აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

9.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

9.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

9.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილობელი შესრულება.

9.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

9.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მეირ მიწოდებული „მომსახურების“ ღირებულების სრული ანაზღაურება.

9.4.3 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.4 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

9.4.5 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.6 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების ხალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

10.2 ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

10.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.4.1 თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება“.

10.4.2 თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

10.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიწმოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.6 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

10.6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

10.6.2 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.6.3 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.

10.7 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ უკვე ფაქტიურად მიღებული „მომსახურების“ ღირებულება.

10.8 საჯარიმო სანქციები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტირების წესისა და პირობების

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის No01-1/ნ ბრძანებით და სხვა მოქმედი კანონმდებლობით.

11. დაუძლეველი ძალის მოქმედება

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.

11.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

12.2 თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

13. გამოსაყენებელი სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

15. ურთიერთობა მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

16.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

16.2 ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

16.3 „მიმწოდებელის" პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების პირობათა დარღვევის შემთხვევაში, ვრცელდება არა მარტო მისაწოდებელი „მომსახურების" ფარგლებში, არამედ „შემსყიდველისათვის" იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელი იქნება მის მიერ სახელმწიფო პროგრამის აუცილებელი შესრულებისათვის.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17.2 „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

17.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

17.4 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

18.1 „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად „მომსახურების" მიზნობრივად გატარების შესახებ „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

18.1.1 უშუალოდ განახორციელოს ინსპექტირება, რომელიც შეეხება ყოველთვიური „მომსახურების" პერიოდს (ან „მომსახურების" დასრულებულ ციკლს).

18.1.2 არ აანაზღაუროს ინსპექტირების შედეგად არაკორექტულად მიჩნეული გაწეული „მომსახურების" ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

18.2 წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება „მიმწოდებლის" მიერ შეტყობინებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და შემთხვევების შერჩევითი შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

18.3 საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 22 სამუშაო დღე.

19. ქვეკონტრაქტორები

19.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედი ქვეკონტრაქტორების ნუსხა განისაზღვრება დანართის 2-ის შესაბამისად.

19.2 ყველა ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულების ასლი წარმოდგენილ უნდა იყოს სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში.

19.3 ყველა ქვეკონტრაქტორის ქმედება უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო პროგრამის ძირითად ამოცანებს.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 01.05.2012 წლამდე.

20.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

20.3 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

21. განსაკუთრებული შენიშვნები

21.1 ხელშეკრულება დგება ორ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

22. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	ა(ა)იპ "ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“
მ. ასათიანის ქ. 9	მისამართი: აკ. წერეთლის გამზ>69
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351	ს/კ 202442730
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები:
ბ/კ 220101222 ა/ა 200122900	ბანკი სს „პროკრედიტ ბანკი“
	ბ/კ AGREGE 22
	ა/ა 360801011100102
გენერალური დირექტორი:	დირექტორი:
ნატო ავალიანი	რემა ღვამიჩავა
ბ.ა.	*ბ.ა.*

ვიზა: კ. ოჩიგავა

დ. მღებრიშვილი

ო. ნამიჭეიშვილი

ხ. ფირანიშვილი

შემსრულებელი: ნ. ღლონტი

N	კოდი	კოდის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება
1	2	3	4	5	6
		marti			
	11011	ძუძუს კიბოს სკრინინგი	1800	21	37800
	11012	საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი	2550	15	38250
	11013	კოლორექტარული სკრინინგი	1328	5	6640
	11014	პროსტატის კიბოს სკრინინგი	104	12	1248
	11015	კოლონოსკოპიური სკრინინგი	99	80	7920
		სულ თანხა			91858

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი:

_____ ნატო ავალიანი

ა(ა)იპ "ეროვნული სკრინინგ–ცენტრის" დირექტორი:

_____ რევა ღვამიჩავა

დანართი 2

"დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის" სახელმწიფო პროგრამის
"კიბოს სკრინინგის" კომპონენტის ფარგლებში
მონაწილე ქვეკონტრაქტორების ნუსხა

N	დასახელება	ქალაქი	განსახორციელებელი მომსახურების სახე
1	შპს ქალთა ჯანმრთელობის ცენტრი "ჰერა"	ქუთაისი	მუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
			კოლონოსკოპიური სკინინგი(11015)
2	ა(ა)იპ "კახეთი–იონი"	გურჯაანი	მუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
			კოლონოსკოპიური სკინინგი(11015)
3	შპს "ქუალიტი პლუს"	რუსთავი	მუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
			კოლონოსკოპიური სკინინგი(11015)
4	ბერძნული სამედიცინო ფონდი "ჰიპოკრატე"	მამომობილი	მუძუს კიბოს სკრ.(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
5	ა/ო სამცხე–ჯავახეთის "დემოკრატ ქალთა საზოგადოება"	ახალციხე	მუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
6	შპს "სენა–მედი"	სენაკი	მუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
			კოლონოსკოპიური სკინინგი(11015)
7	ა/ო "ონკოპრევენციის ცენტრი"	მამომობილი	მუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
			კოლონოსკოპიური სკინინგი(11015)
8	შპს "ჯეო ჰოსპიტალი"	სამტრედია	მუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
9	ს/ს საჩხერის რაიონული საავადმყოფო–პოლიკლინიკური გაერთიანება	საჩხერე	მუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
10	შპს ქ. სენაკის სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი "ესკულაპი"	სენაკი	საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			კოლონოსკოპიური სკინინგი(11015)

11	შპს "ბომონდის" საავადმყოფო	ქუთაისი	ძუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
			კოლონოსკოპიური სკინინგი(11015)
12	ი/მ "იამზე ქამხაძე"	კასპი	ძუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			კოლონოსკოპიური სკინინგი(11015)
13	შპს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის "ონკოლოგიის ცენტრი"	ბათუმი	ძუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
14	ს/ს "ოზურგეთის სამშობიარო სახლი"	ოზურგეთი	საშვილოსნოს კიბოს სკრ. (11012),
15	შპს "ჯანმრთელობა ყველასათვის"	გორი	ძუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
16	შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო	ბათუმი	ძუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			კოლონოსკოპიური სკინინგი(11015)
17	ს/ს პროფ. ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის სამეგრელო –ზემო სვანეთის სამხარეო ფილიალი	ზუგდიდი	ძუძუს კიბოს სკრინინგი(11011)
			საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი (11012)
			კოლორექტარული სკრინინგი(11013)
			პროსტატის კიბოს სკრინინგი(11014)
			კოლონოსკოპიური სკინინგი(11015)

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი

_____ნატო ავალიანი

ა(ა)იპ "ეროვნული სკრინინგ–ცენტრის" დირექტორი:

_____ რემა ღვამიჩავა

ფორმა N1

რეგისტრაციის N_____ თარიღი_____

ინფორმაცია გაწეული მომსახურების ხარჯის შესახებ

ანგარიშგების პერიოდი 2012 წლის _____ თვე

დაწესებულების დასახელება _____

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

N	კოდი	კოდის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება
1	2	3	4	5	6
1	11011	ძუძუს კიბოს სკრინინგი			
2	11012	საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი			
3	11013	კოლორექტარული სკრინინგი			
4	11014	პროსტატის კიბოს სკრინინგი			
5	11015	კოლონოსკოპიური სკრინინგი			
		სულ თანხა			

დაწესებულების ხელმძღვანელი ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

ფორმა N 2

რეგისტრაციის #_____ თარიღი_____

ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ

ანგარიშგების პერიოდი 2012 წლის _____ თვე

დაწესებულების დასახელება _____

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

N	კოდი	გამოკვლევის ჩატარების თარიღი	სამედიცინო დოკუმენტის N	პაციენტის სახელი, გვარი	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	საცხოვრებელი ადგილის მისამართი	პირადი N
1	2	3	4	5	6	7	8

N	კოდი	გამოკვლევის ჩატარების თარიღი	სამედიცინო დოკუმენტის N	პაციენტის სახელი, გვარი	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	საცხოვრებელი ადგილის მისამართი	პირადი N
1	2	3	4	5	6	7	8

დაწესებულების ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

ფორმა N 3

რეგისტრაციის #_____ თარიღი_____

ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯის შესახებ

ანგარიშგების პერიოდი 2012 წლის _____ თვე

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

N	ქვეკონტრაქტორის დასახელება	ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულების N	გაწეული მომსახურების ღირებულება
1	2	3	4
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
	სულ თანხა		

დაწესებულების ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი ბ.ა.

ფორმა N 4

რეგისტრაციის #_____ თარიღი_____

ინფორმაცია ქვეკონტრაქტორებზე ანაზღაურებული თანხის შესახებ

ანგარიშგების პერიოდი 2012 წლის _____ თვე

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

N	ქვეკონტრაქტორის დასახელება	ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულების N	ანაზღაურებული თანხა
1	2	3	4
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
	სულ თანხა		

დაწესებულების ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი ბ.ა.

ფორმა N 5

ა ქ ტ ი N

შესრულებული სამუშაოების ყოველთვიური პირველადი მიღება-ჩაბარების აქტი

სამედიცინო დაწესებულების მიერ 2012 წლის _____ გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

#	ანგარიშ-ფაქტურის # და თარიღი		წარმოდგენილი სამუშაოს ღირებულება	ექვემდებარება შემცირებას		ექვემდებარება ფულადი სახსრებით ანაზღაურებას
				ლიმიტს ზემოთ თანხა	სხვა მიზეზებით დარღვევების გამო	
1	2	3	4	5	6	7

ჩააბარა

_____

დაწესებულების დასახელება

_____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

მიიღო

ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

_____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა